საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1533 2017 წლის 24 ივლისი ქ. თბილისი

საჩხერის მუნიციპალიტეტის მიერ ელექტრონული ტენდერის ჩატარებისათვის შემჭიდროებული ვადების გამოყენების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის 3^1 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, მიეცეს უფლება საჩხერის მუნიციპალიტეტს, საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ არგვეთში მდებარე პაოლო იაშვილის სახლ-მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 15^1 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ვადაში.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი